საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენისა და გადასახადის გადახდის ვადები

⚠ გთხოვთ გაითვალისწინოთ

2025 წლის საანგარიშო პერიოდზე საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენის ბოლო დღე არის 2026 წლის 31 მარტი

2025 წლის საშემოსავლო გადასახადის წლიურ დეკლარაციას 2026 წლის 31 მარტის ჩათვლით წარადგენენ	საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება
მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებდნენ ეკონომიკურ საქმიანობას 2025 წლის განმავლობაში	არაუგვიანეს 2026 წლის 31 მარტისა
მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირები	სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებულ შემოსავლის ნაწილში არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს; საერთო წესით დასაბეგრი შემოსავლის ნაწილში არაუგვიანეს 2026 წლის 31 მარტისა (იხ. შენიშვნა)
მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირები, საერთო წესით დასაბეგრი საქმიანობის ნაწილში, მათ შორის მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებმაც 2025 წლის 01 თებერვლიდან მიიღეს შემოსავალი „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ 006-2016-ის“ 41.2 ჯგუფით გათვალისწინებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობის მომსახურების, 42-ე განყოფილებით გათვალისწინებული სამოქალაქო მშენებლობის მომსახურების ან/და 43-ე განყოფილებით გათვალისწინებული სპეციალიზებული სამშენებლო მომსახურების გაწევით - საწარმოსთვის, ორგანიზაციისთვის, ან მეწარმე ფიზიკური პირისათვის (იხ. შენიშვნა)	არაუგვიანეს 2026 წლის 31 მარტისა
მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებსაც 2025 წლის განმავლობაში გაუუქმდათ მიკრო ბიზნესის სტატუსი და მიენიჭათ მცირე ბიზნესის სტატუსი	მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებამდე პერიოდში მიკრო ბიზნესის სტატუსით დაბეგვრას დაქვემდებარებული საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავლის ნაწილში არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს განმავლობაში გაუუქმდათ მიკრო ბიზნესის სტატუსი და მიენიჭათ მცირე ბიზნესის სტატუსი

2025 წლის საშემოსავლო გადასახადის წლიურ დეკლარაციას 2026 წლის 31 მარტის ჩათვლით წარადგენენ	საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება
მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებსაც 2025 წლის განმავლობაში მიენიჭათ ან გაუუქმდათ მცირე ბიზნესის სტატუსი, არასრულ საგადასახადო პერიოდში მიღებული შემოსავლების ნაწილში	არაუგვიანეს 2026 წლის 31 მარტისა
მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებსაც 2025 წლის განმავლობაში გააუქმდათ მიკრო ბიზნესის სტატუსი და არ მიუღიათ მცირე ბიზნესის სტატუსი	არაუგვიანეს 2026 წლის 31 მარტისა
ფიზიკური პირები, რომლებმაც 2025 წლის საანგარიშო პერიოდში მიიღეს სარგებელი ქონების ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებისას თუ ასეთი შემოსავალი არ არის გათავისუფლებული სსკ-ის 82-ე მუხლით (გარდა მე-3 და მე-4 რიგის მემკვიდრეებისა, რომლებმაც მიიღეს სარგებელი 150 000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების ჩუქებით ან/მემკვიდრეობით მიღებისას)	არაუგვიანეს 2026 წლის 31 მარტისა
ფიზიკური პირები , რომლებიც ახორციელებენ ქონების იჯარით/ქირით გაცემას და რომელთა შემოსავალიც არ ექვემდებარება გადახდის წყაროსთან დაბევრას (მაგ: საცხოვრებელი ფართის საცხოვრებელი ან კომერციული მიზნით გაქირავება და სხვა)	არაუგვიანეს 2026 წლის 31 მარტისა
საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები, თუ მათ მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი არ დაბეგრილა გადახდის წყაროსთან (გარდა საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების/აქტივის მიწოდებისა)	არაუგვიანეს 2026 წლის 31 მარტისა (იხ. შენიშვნა)
არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელმაც მიიღო წყაროსთან დაკავებული შემოსავალი და რომელიც დეკლარაციას წარადგენს გადასახადის გადაანგარიშების მოთხოვნით	
საქართველოში არსებული დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციაში დასაქმებული ფიზიკური პირები	არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა

2025 წლის საშემოსავლო გადასახადის წლიურ დეკლარაციას 2026 წლის 31 მარტის ჩათვლით წარადგენენ	საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება
თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოში დასაქმებული ფიზიკური პირები	არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა

შენიშვნა: 2024 წლის 01 იანვრიდან ფიზიკური პირი, მათ შორის, არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქონების/აქტივის მიწოდებას, ამ ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში, ვალდებულია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ფიზიკური პირის მიერ ქონების/აქტივის მიწოდებაზე საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი.

საგადასახადო დეკლარაციებისა და გადასახადის გადახდის ვადების ცოდნა ხელს შეუწყობს თქვენს მიერ საგადასახადო ვალდებულებების დროულ შესრულებას.